

ძველის ბუნდოვანება ახალსაც „ბადადო“

რამდენიმე მოსაზრება ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით

ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მთავრობის ძირითადი სურვილია (მიზანია) რაც შეიძლება ბევრი მენარმე იყოს ქვეყანაში, ჰქონდეთ მათ ბიზნესის დაუბრკოლებლად კეთების საშუალება და არ ხდებოდეს ხელოვნური ჩარევები სხვადასხვა სტრუქტურების მხრიდან. მართალია, ბიზნესის კეთების პრიორიტეტებზე, ჩვენი მთავრობის მიერ გაცხადებულია, მიღებულია შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ბიზნესის ხელშეწყობის თაობაზეც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო არ ითვალისწინებს პროზიდენტის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს და განსხვავებულ გადაწყვეტილებებს ტეხულობს. ასეთი გადაწყვეტილებები კი ხშირად ტეგალური ბიზნესის წარმოების შეფერხებას იწვევს და ბიზნესს ჩრდილოვანი (ალურიცხავი) ეკონომიკისკენ უბიძგებს.

პირდაპირ ვიტყვი: 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა ვერ უზრუნველყო საქართველოში კონსურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შექმნა და ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. მართალია, დროთა განმავლობაში მათში რამდენიმე ათეული ცვლილება შევიდა, მაგრამ მთავარი, რაც მთავრობამ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ ვერ გაითვალისწინა, ის იყო, რომ არ მოახდინა ძველი საგადასახადო კოდექსის მოქმედების შედეგად დაზარალებულ მენარმეთა გათავისუფლება გადასახადებისგან, ანუ, არ გამოცხადდა ტოტალური საგადასახადო ამნისტიკა (რომელიც ყველა მენარმეს თანაბრად შეეხებოდა). ამდენად, მენარმეებს დღესაც უხდებათ 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად წარმოშობილი ვალეების გადახდა (არადა, ხშირად ეს ვალეები უიშელო ხასიათს ატარებს). საგადასახადო ორგანოები, მიუხედავად გადამხდელთა უმეტესობის გადახდის უუნარობისა, არ ახდენენ მათ ჩამონერას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ვა-

დაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ხელოვნურ ზრდას იწვევს. აუცილებელია ახალ საგადასახადო კოდექსში გავითვალისწინოთ აღნიშნული კატეგორიის პირებზე რიცხული დავალიანებების ჩამონერა. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, მთავრობამ გამოაცხადა საგადასახადო ამნისტიკა საქართველოში მოქმედი ტელევიზიების მიმართ. მათ ჩამონერათ დაახლოებით 20 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. ვფიქრობ, გადამხდელთა ასე დაყოფა (კატეგორიების მხრივ), ყოველად დაუშვებელია, რაც საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ნეგატიურად იმოქმედებს. აქვე მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო ერთ გარემოებას: საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას სამართლიანად აღნიშნა, რომ ყოველად დაუშვებელია ბიზნესის დალუქვა (სამენარმეო საქმიანობის შეჩერება) ფინანსთა მინისტრის წერილობითი თანხმობის (ბრძანების) გარეშე. პრაქტიკაში კი საპირისპირო ქმედებები ბევრია. საგაჭრო ობიექტების დალუქვა ხშირ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრის ბრძანების გარეშე ხდება. შემოსავლების სამსახურში განმარტავენ, რომ თითქოსდა, პრეზიდენტმა



ბორის ჭიჭინაძე,

სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

2 დღით დალუქვა ნებადართულად ჩათვალა. არადა, მას (პრეზიდენტს) 2009 წლის ოქტომბერში პარლამენტში გამოსვლისას, საგაჭრო ობიექტის დალუქვასთან დაკავშირებით არანაირ ვადებზე არ უსაუბრია. აქედან გამომდინარე, ასეთი ხშირი დალუქვები აფერხებს სამენარმეო საქმიანობის წარმართვას და ბიზნესის წარმოების შეფერხებას იწვევს (ხშირ შემთხვევაში ობიექტის დალუქვები თვეობით გრძელდება). სამენარმეო საქმიანობის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია საჯარო რეესტრში დანესებული მოსაკრებლები ბიზნესის დანეებისას, კერძოდ, ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციისთვის 1 სამუშაო დღის ვადაში საჭიროა 20 ლარის გადახდა, ხოლო, განცხადების შეტანისთანავე დარეგისტრირების შემთხვევაში – 50 ლარი, იურიდიული პირების შემთხვევაში, 1 სამუშაო დღის ვადაში დარეგისტრირების შემთხვევაში – 100 ლარი, განცხადების შეტანისთანავე დარეგისტრირების შემთხვევაში – 200 ლარი. ფასიანია მენარმე სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციაც: 1 სამუშაო დღის ვადაში – 100 ლარი, განცხადების შეტანისთანავე რეგისტრაციის შემთხვევაში კი 200

თვალსაზრისი

ივლინი-ავიუსტი - 2010

ლარი. ასევე ფასიანია რეგისტრაციის გაუქმება, ინდივიდუალური მენარმეების შემთხვევაში, პირის გარდაცვალების, ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად, ან ქმედუნაროდ აღიარების შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში – საფასურის გარეშე, ხოლო სხვა შემთხვევაში – 100 ლარი, იურიდიული პირების შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში საფასური შეადგენს – 100 ლარს, განცხადების შეტანის დღესვე კი – 200 ლარს. როგორც ვხედავთ, სამენარმო საქმიანობის როგორც დანყება, ასევე მისი შეწყვეტა ფასიანია და მენარმის მხრიდან გარკვეული საფასურის გადახდას საჭიროებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მოსაკრებლების ასეთი პრინციპი ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს, მაგრამ არა ყველგან. ჩვენთან დანესებული საზღაურები კი ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძღვებს და საჭიროა მისი დახვეწა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციაზე მორგება, რადგანაც დანესებული მოსაკრებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბიუჯეტო დანესებულებებში არსებულ მინიმალური ხელფასისგან.

საჭიროა აღნიშნოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარ-

ტის №96 დადგენილების თაობაზე. კერძოდ, საქმე ეხება კანონს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განვითარების საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“, აღნიშნულ დადგენილებაში 2010 წლის 23 ივნისს შევიდა ცვლილებები, რომლითაც გაიზარდა იმ მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც ფასიანია და გადამხდელის მიერ გარკვეული თანხების გადახდას მოითხოვს. საფასურისა და განაკვეთების ჩამონათვალი მეტად ფართოა და სულ 52 პუნქტით განისაზღვრება. საჭიროდ ვთვლი რამდენიმე პუნქტზე გავაკეთო კომენტარი. კერძოდ, **ბუნდოვანია აღნიშნული დადგენილების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის რაოდენობა. ამ პუნქტით განსაზღვრულია, რომ თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მოსთხოვს მისი საწარმოს საქმიანობის არაგემიურ შემონმებას, იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის წლიური ბრუნვა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარამდეა, მაშინ, მან უნდა გადაიხადოს საფასური აღნიშნული მომსახურებისათვის – 10 000 (ათი ათასი) ლარი, ხოლო, თუ გადამხ-**

დელის წლიური ბრუნვა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე მეტია, მაშინ, უნდა გადაიხადოს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი. გაურკვეველია, რა პრინციპითაა დანესებული აღნიშნული რაოდენობის საფასური? ხომ შეიძლება მენარმის წლიური ბრუნვა იყოს ერთი მილიონი ლარი, ხოლო მოგება 5 000 ათასი ლარი, ან, საერთოდ არ ჰქონდეს მოგება. ამ შემთხვევაში როგორ უნდა ისარგებლოს ასეთმა მენარმემ მთავრობის მიერ შეთავაზებული მომსახურებით? ან, ხომ შეიძლება მენარმის წლიური ბრუნვა იყოს 9 000 (ცხრაათასი) ლარი და მას სურდეს მისი საწარმოს არაგემიური შემონმება – როგორ გადაიხდის ის 10 000 (ათიათასი) ლარს? ცხადია, აღნიშნული პუნქტი დახვეწას საჭიროებს, რათა მისმა მოქმედებამ არ გამოიწვიოს კეთილსინდისიერ მენარმეთა უფლებების შლახვა. ასევე ბუნდოვანია აღნიშნული დადგენილების მე-18 პუნქტი. კერძოდ, ფასიანია საგადასახადო ორგანოს წინასწარი დასკვნა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. არ არსებობს არანაირი განმარტება, თუ რა იგულისხმება საგადასახადო ორგანოს წინასწარ დასკვნაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულში იგულისხმება საგადასახადო ორგანოს წერილობითი პასუხი გადამხდელის კითხვაზე ამა თუ იმ საგადასახადო მუხლის მოთხოვნის განმარტებასთან დაკავშირებით. მოქმედი საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი განმარტავს, რომ, თუ საგადასახადო ორგანო წერილობით პასუხს გაუგზავნის საგადასახადო გადამხდელს კოდექსის ამა თუ იმ მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, მაშინ, საგადასახადოს ამ პასუხს იურიდიული ძალა არ აქვს. ხოლო, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში აღნიშნულია, რომ საგადასახადოს წერილს გადამხდელის მიმართ იურიდიული ძალა ექნება. სანაცვლოდ აღნიშნული მომსახურება უკვე ფასიანია და გადასახადის გადამხდელს არც თუ ისე პატარა თანხის გადახდა მოუწევს. თუ მენარმეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე მეტი კაპიტალი, ან 10 000 000 (ათი მილიონი) ლარზე მეტი წლიური ბრუნვა აქვს, მაშინ, ის ასეთი დასკვნის 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში მიღებისას გადაიხდის 10 000 (ათი ათასი) ლარს,



ხოლო სხვა დანარჩენი პირები კი 5 000 (ხუთიათასი) ლარს. ხოლო, თუ ზემოთ აღნიშნული კაპიტალისა და წლიური ბრუნვის მქონე პირებს დასკვნის მიღება უნდათ 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მაშინ, მენარმეები გადაიხდიან 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო, სხვა დანარჩენი მენარმეები 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. საფასურის დაწესებისას არ არის გათვალისწინებული ე.წ. „მიკრო“ და „მცირე მენარმის“ ინტერესები. რა ქნან აღნიშნული კატეგორიის მენარმეებმა, როცა მათ აინტერესებთ კოდექსის ამა თუ იმ მუხლის განმარტება. როგორ გადაიხადონ მათ დაწესებული საფასური? აღნიშნული დადგენილების 32-ე პუნქტში ნათქვამია, რომ გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე დადებული ყადაღის მოხსნა ფასიანია და ის ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 20 ლარი-თაა განსაზღვრული. ეს ნიშნავს, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს საბიუჯეტო დავალიანება და მის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილია საინკასო დავალებები, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაფარავს ამ დავალიანებას, მას საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალება ექნება მანამ, სანამ არ გადაიხდის დაწესებულ საფასურს. ამასთან, ბუნდოვანია საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციისას დაწესებული მოსაკრებელიც. კერძოდ, თუ 1 სამუშაო დღეში სურს გადამხდელს აპარატის რეგისტრაცია (უმეტეს შემთხვევაში 1 სამუშაო დღეში უნდა მენარმეს აპარატის რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დააჯარიმებენ აპარატის არქონისთვის – 500 ლარით) მაშინ, მან უნდა გადაიხადოს 20 ლარი, ხოლო 3 სამუშაო დღეში – 10 ლარი. ასევე ფასიანია ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების რეგისტრაცია – იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო მოახდენს მის რეგისტრაციას 1 სამუშაო დღეში, მაშინ, მენარმემ უნდა გადაიხადოს 50 ლარი, 3 სამუშაო დღეში კი 20 ლარი. როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განვითარების საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ მიღებული დადგენილება ხშირ შემთხვევაში დისკრიმინაციულია

და ის ამკარად არღვევს მენარმეთა უფლებებს. ამასთან, ის წინააღმდეგობაში მოდის პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ „ეკონომიკური თავისუფლების აქტთან“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, თუ რა ხდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში სამენარმეო საქმიანობის გაუმჯობესების მხრივ. ახალი კოდექსით შემოდის „მიკრო“ და „მცირე მენარმის“ კატეგორიები. ის მენარმე, რომლის წლიური ბრუნვა 30 000 ლარს არ აჭარბებს, ითვლება მიკრო მენარმედ და ის თავისუფლდება ყველანაირი გადასახადიდან. თუმცა, კანონის პროექტში არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება მენარმის ბრუნვის დაფიქსირება. გამოდის, რომ აღნიშნული კატეგორიის მენარმეებმა კვლავ უნდა აწარმოონ საბუღალტრო აღრიცხვა (აბა ბრუნვას ისე როგორ დაადგენენ?). კანონპროექტის ავტორთა განმარტებით კი, მიკრო მენარმეებს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება არ ევალებათ. ახალი საგადასახადო კოდექსით, დღით იბეგრება მიღებული ავანსები, რაც უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, არსებული კოდექსით ავანსი დღით არ იბეგრება, მიუხედავად იმისა, რომ მიკრო მენარმე გადასახადებით არ იბეგრება, საგადასახადო სამსახურებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩაუტარონ აღნიშნული კატეგორიის მენარმეებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და უზედდებულო საქონლის გამოვლენის შემთხვევაში დააჯარიმონ ისინი გამოვლენილი საქონლის 500 პროცენტით (დღეს არსებული კოდექსით მენარმეები აღნიშნულ შემთხვევაში ჯარიმდებიან გამოვლენილი საქონლის 100 პროცენტით), გამოდის, რომ ამ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურები გადამხდელებიდან გადასახადებიდან მიუღებელ თანხებს ამოიღებენ ჯარიმების სახით. მიკრო მენარმეების დაბეგრასთან დაკავშირებით მისაღები კანონი დღეს არსებულ საგადასახადო კოდექსთან შედარებით უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, მოქმედი კანონით გარკვეული კატეგორიის მენარმე პირები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000 ლარს არ აჭარბებს, ისედაც გათავისუფლებულნი არიან გადასახადისგან. (გარდა იმ პირებისა, რომ-

ლებსაც ჰყავთ დაქირავებული პირები). ახალი კოდექსის პროექტში ასევე აღნიშნულია, რომ თუ მცირე მენარმეს სამჯერ დააჯარიმებენ სალაროს ჩეკის გაუცემლობის გამო, მაშინ, მას მოუხსნიან მცირე ბიზნისის სტატუსს. ეს კიდევ ერთხელ უბიძგებს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს, რაც შეიძლება ხშირად დააჯარიმონ მენარმეები სალაროს ჩეკის გაუცემლობაზე. ახალი კანონპროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს საბაჟო და საგადასახადო კოდექსების გაერთიანებას, მაშინ, როცა მთავრობის მიერ ამ კოდექსების გაერთიანების შესახებ იყო განცხადებული. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში ხშირად ნახსენები სიტყვები – „შესაძლებელია“, „განსაკუთრებულ შემთხვევაში“, „ცალკეული გადამხდელის“ მიმართ და სხვა, რაც ძალიან ართულებს გადამხდელის მიმართ მიდგომას და მათ არათანაბარ პირობებში აყენებს. კანონპროექტით ძალიან დიდი უფლებები აქვს მთავრობას. ეს უფლებები ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების შელახვასაც კი იწვევს (განსაკუთრებით მინაზე ქონების გადასახადის განაკვეთების დაწესების დროს). ხაზგასასმელია ისიც, რომ არაფერი ახალი არ არის ნათქვამი საგადასახადო დავებთან დაკავშირებით. პირიქით, გადამხდელს ძალიან შეზღუდულ ვადებში უხდებათ შემოსავლების სამსახურში და სასამართლო ინსტანციებში დოკუმენტაციის წარდგენა. აქვე უნდა აღინიშნოს იმაზეც, რომ თუ საგადასახადო სამსახურმა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოუგო გადასახადის გადამხდელს საგადასახადო დავა, მაშინ, მას შეუძლია მოახდინოს დაყადაღებული ქონების აუქციონზე გაყიდვა, მაშინ, როცა საგადასახადო დავა ისევ გრძელდება ზემდგომ სასამართლოში. ხომ შეიძლება, რომ გადასახადის გადამხდელმა გაიმარჯვოს ზემდგომ ინსტანციებში? (თუმცა, ჩვენს პრაქტიკაში ამის მხოლოდ თეორიულად დაშვება თუ შეიძლება) ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო როგორ უბრუნებს გადასახადის გადამხდელს გაყიდულ ქონებას? საკითხი მეტად ბუნდოვანია და სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს, რათა არ შეილახოს გადამხდელის უფლებები.